სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080157958870423

№ 1639 30 / მაისი / 2023 წ.

შპს „მოდერნ ლაინის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ააიპ „თბილისის განვითარების ფონდი“;

გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების რეკვიზიტები: 14.03.2022 №22-03-24 (CMR220042723);

შესყიდვის ობიექტი: 71300000 – საინჟინრო მომსახურებები;

მიმწოდებელი: შპს „მოდერნ ლაინ“ (ს/ნ: 202456822);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღწერილობითი ნაწილი

1. **ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 3 აპრილს წარმოდგენილ იქნა ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2023 წლის 31 მარტის №80-01230903572 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 2930), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „მოდერნ ლაინის“ (ს/ნ: 202456822) მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2022 წლის 14 მარტის № 22-03-24 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (CMR220042723) ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის modernline.georgia@gmail.com მეშვეობით, 2023 წლის 6 აპრილის №1280 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა სააგენტოში 2023 წლის 13 აპრილს წარმოადგინა განმარტება (რეგისტრაციის №3292) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2022 წლის 14 მარტის № 22-03-24 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (CMR220042723) ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

2. **შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არ შეასრულა 2022 წლის 14 მარტის №22-03-24 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. **მიმწოდებლის პოზიცია**

მიმწოდებლის განმარტებით, მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა ჯეროვნად, კერძოდ, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა აზომვითი ნახაზები, რომელიც შესრულებული იყო სრულყოფილად (შენობა-ნაგებობების ფასადების, გეგმებისა და ჭრილების აზომვა - 3D დეტალური სკანირება) ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ მისამართებზე. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიღება-ჩაბარების აქტი არ გააფორმა, ვინაიდან მიიჩნია, რომ არსებული ნახაზები არ შეესაბამებოდა

ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხარეებს შორის არაერთხელ გაიმართა შეხვედრა, სადაც მიმწოდებელი განმარტავდა, რომ გაწეული მომსახურება სრულყოფილად ასახავდა მოთხოვნილ პირობებს. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან არ მომხდარა წერილობითი არგუმენტაციის წარდგენა, თუ რაში გამოიხატებოდა მიმწოდებლის მიერ წარდგენილი აზომვითი ნახაზების შეუსაბამობა. ასევე მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ გამოთქვამდა მზაობას მომზადებულ აზომვით ნახაზებში ხარვეზების გამოსწორების თაობაზე.

4. **სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები**

4.1. 2022 წლის 14 მარტს მხარეთა შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო № 22-03-24 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (CMR220042723), რომლის თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მოემხადებინა ქ. თბილისში, კოტე მესხის შესახვევი № 3-ში, პ. ჩაიკოვსკის ქ. №8- ში, №10-სა და №12-ში მდებარე სახლების აზომვითი ნახაზები (აღნიშნულ მისამართებზე არსებული შენობა-ნაგებობების ფასადების, გეგმებისა და ჭრილების აზომვა – 3D დეტალური სკანირება, უსაფრთხოების გათვალისწინებით), დანართის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვეში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 66 257 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 30 აგვისტო.

4.2. 2023 წლის 9 იანვარს მხარეებს შორის გაფორმებული №22-03-24/1 შეთანხმების აქტით, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 31 მარტი.

4.3. აიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ პროექტირებისა და სანებართვო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2023 წლის 27 მარტის № 80-01230864041 მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებისა მიმწოდებლის მხრიდან არ განხორციელებულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2023 წლის 31 მარტის № 80-01230903396 წერილით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მიმწოდებელს დააკისრა პირგასამტეხლო.

5. **შემაჯამებელი დასკვნა**

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „მოდერნ ლაინ“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. **გამოყენებული სამართლებრივი აქტები**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. **სამართლებრივი შეფასება**

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არ შეასრულა 2022 წლის 14 მარტის №22-03-24 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე და აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი და მიმწოდებელს არც ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოუდგენია მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები. ამდენად, სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის

სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „მოდერნ ლაინ“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „მოდერნ ლაინ“ (ს/ნ: 202456822) 2023 წლის 31 მაისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი